



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge



ქ. მცხეთა

06-03-2020

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 62/20

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-2019) შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-2109) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ის თანამშრომელი, რომელიც ამ ბრძანების გამოცემის შემდეგ გაემგზავრება ვიზიტით ჩინეთის სახალხო, კორეის (სამხრეთ კორეა), ირანის ისლამურ ან/და იტალიის რესპუბლიკებში არ გამოცხადდეს სამსახურში საქართველოში დაბრუნებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- ამ ბრძანების პირველი პუნქტი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში თუ თანამშრომლის ოჯახის წევრ(ებ)ი გაემგზავრებიან მითითებულ ქვეყნებში ან/და მას ან მისი ოჯახის წევრებს კონტაქტი ექნება(თ) ამავე ქვეყნებიდან ჩამოსულ სხვა პირ(ებ)თან.
- ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირს დაევალოს:
 - შესაბამისი სამკურნალო დაწესებულებებისთვის მიმართვა;
 - უშუალო ხელმძღვანელის ინფორმირება (ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა ვინაობის მითითებით) და სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემული საავადმყოფო ფურცლის ტოლფასი სამართლებრივი შედეგის მქონე დოკუმენტის სამსახურში წარდგენა.
- დაევალოს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ადმინისტრაციულ დეპარტამენტს და იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, უზრუნველყონ ამ ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებულ ქვეყნებში სამსახურეობრივი მივლინებების გაუქმებისთვის/გადადებისთვის სათანადო ღონისძიებების განხორციელება.
- ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ თანამშრომელს გაცდენილი სამუშაო საათები ჩაეთვალოს საპატიოდ და შეუნარჩუნდეს შრომითი ანაზღაურება.
- ახალი კორონავირუსის (COVID-2109) წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით ჩატარდეს საქპატენტის შენობა-ნაგებობების (დახურული სივრცეები, ოთახები) სადეზინფექციო-

პროფილაქტიკური სამუშაოები.

7. დაევალოს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ საფინანსო დეპარტამენტს უზრუნველყოს ამ ბრძანების მე-6 პუნქტში მითითებული სამუშაოების ჩატარების მიზნით შესაბამისი მომსახურების შესყიდვა.

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ადმინისტრაციულ დეპარტამენტს.

9. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

თავმჯდომარე



მინდია დავითაძე

ეგზავნება: საქპატენტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

